



ბრომბარგო ყველა ქვეყნისა, უპარტიოთ.

საბჭოთავო სპორტული ბიულეტენი

საპარტოელოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტოელოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Л Е Л О

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

სიბუჯა ეკუთვნის XIX ტურს

პოლონელმა ჩ. ვარძიკოვსკიმ, უნგრელმა ფ. ტიორიოვს და ლ. ლუნდვიმ პირველი დამარცხების შემდეგ მომდევნო ბრძოლები მოიგეს და წამოუწიეს გ. კოსტავას. შედეგად შეხვედრაში გ. კოსტავა ანგარიშით 0:3 აგებდა პოლონელ ე. სტუშკასთან, მაგრამ შემდეგ მან ზედისე 5 ჩხვლეტა მოაყენა მეტოქეს და გაიმარჯვა. გ. კოსტავას შემდეგ ბრძოლა ჰქონდა ლენდვასთან. მან ეს შეხვედრა მალევე ოსტატობით ჩაატარა და გაიმარჯვა. ამრიგად, გ. კოსტავამ მოიპოვა მეგობრული არმიების ჩემპიონის ოქროს მედალი. მეორე ადგილი დაიკავა ვარძიკოვს, მესამე — ტიორიოვს.

იუგოსლავიის სპორტულ მიმომხილველთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბლედის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმარჯვებს ტალი. ამასვე ამბობენ გამოჩენილი გროსმაისტერები გლიგორიჩი და მატანოვიჩი. გლიგორიჩი ამასთან დასძენს, რომ ამაში მას ეჭვიც არ ეპარება. საიდანაა იუგოსლავიის ჩემპიონის ასეთი დარწმუნება? XVIII ტურში ტალი ყაიმით დაკმაყოფილდა პორტიოვთან, ხოლო ფიშერმა უარეს მდგომარეობაში გადადო პარტია პეტროსიანთან. თვითონ გლიგორიჩი ყაიმზე შეუთანხმდა კერესს, მაგრამ გადაღებული პარტიების დამთავრებისას

მოხდა მოულოდნელი რამ. პეტროსიანმა უკეთეს პოზიციაში დაუშვა უხეში შეცდომა და დამარცხდა ფიშერთან, კერეს-ფიშერის შეხვედრაში იქნა ფიქსირებული ყაიმის ამით ტალის შანსები გაიზარდა. დასკვნით, XIX ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ტალი—13,5 ქულა, ფიშერი — 13, გლიგორიჩი — 12,5, კერესი და პეტროსიანი—11,5 ქულა თვითქულა. გლიგორიჩი თავის შეხედულებას ასახულებს იმით, რომ ტალს ბოლო შეხვედრა დარჩა „დაღლილ ნაიდორთან“, რომელთანაც საბჭოთა გროსმაისტერს არასოდეს არ უჭირდა ბრძოლა. ფიშერმა შეხვედრით უნდა ითამაშოს იუგოსლაველ გროსმაისტერ იუგოვთან, რომელმაც ბოლოს გააუმჯობესა თამაში, ტალი კი წინაა ნახევარი ქულა.

გასულ კვირას, სპორტის სახალეში თავი მოიყარეს თბილისის მშრომელთა, რათა შეხვედროდნენ მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატის მონაწილეებს. სადამო გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. ჩერქეზიამ. რის შემდეგ საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ ილაპარაკა თუ რა მნიშვნელობით ხვდებიან რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტური პარტი-

ის XXII ყრილობას. თავისი სიტყვის დასასრულს მან საკავშირო პირველობის მონაწილეებს უსურვა მაღალი მაჩვენებლები. თვინათი სპორტული გზის შესახებ დასწრეთ მოუთხრეს მსოფლიო რეკორდსმენმა ბადროს ტორცნაში თ. პრესმა, უძლიერესმა შუბის მტკორცნელმა ვ. ციხულენკომ, საქართველოს ჩემპიონმა სიგრიძემ ხტომაში რ. ქოჩიაძემ და სხვებმა. დასასრულს ნაჩვენები იქნა კინოფილმი და გაიმართა დიდი კონცერტი.

გ. კოსტავას გამარჯვება

ბუღაეშტში მოეწყო მეგობრული არმიების მოფარიაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, გდრ-ს უძლიერესი სპორტსმენები. საინტერესო გამოდგა დაშინთ მოფარიაკეთა ბრძოლა, სადაც 25


კაცი გამოდიოდა. აქედან მსოფრსმენმა მოიპოვა უფლება ებრძოლა პირველი ადგილისათვის. ფინალში საბჭოთა მოფარიაკემ გ. კოსტავამ ზედისე 4 შეხვედრა მოიგო, მაგრამ წააგო უნგრელ ი. მონთან. ამ დროს ქართველი სპორტსმენის მთავარმა მეტოქეებმა

გ ა თ ა მ ა შ ე ბ ი ს ც ხ რ ი ლ ე ბ ი

I-X ადგილებსათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	26	16	7	3	52-24	39
„ტორპედო“ (მოსკოვი)	26	18	2	6	63-30	38
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	26	16	5	5	55-30	37
ც ხ კ ა	26	15	4	7	57-38	34
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	25	12	9	4	45-30	33
„დინამო“ (თბილისი)	25	12	6	7	46-28	30
„ბანზარდი“ (ხარკოვი)	26	10	8	8	24-24	28
„სპარტაკი“ (ერევანი)	25	9	9	7	34-34	27
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	25	10	6	9	37-48	26
ს კ ა (როსტოვი)	26	10	5	11	49-34	25

XI-XXII ადგილებსათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	28	14	7	7	48-34	35
„ზახტიორი“ (სტალინი)	28	9	9	10	34-30	27
„ბრუმი“ (ვორონეჟი)	28	10	7	11	36-35	27
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	28	10	6	12	41-48	26
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	9	8	11	37-44	26
„ბლენკალტევი“ (ლენინგრადი)	28	9	7	12	37-40	25
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	28	6	12	10	31-43	24
„პანინბი“ (ალმა-ატა)	28	9	6	13	29-44	24
„ბალარუსი“ (მინსკი)	28	6	8	14	23-39	20
„დაუბაჰა“ (რიგა)	28	5	6	17	27-53	16
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	28	5	5	18	23-59	15
„პალზი“ (ტალინი)	28	1	8	19	19-58	10

მეგობრული მატჩებისათვის



პირველ ათეულში, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს ოქროს მედალისათვის, მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მოიპოვა კიევის „დინამომ“, რომელმაც როსტოვში დაამარცხა ადგილობრივი არმიელთა გუნდი — 4:2 და გადაინაცვლა პირველ ადგილზე. უშედეგოდ (0:0) დამთავრდა ხარკოვის „ბანზარდისა“ და ცხკა-ს შეხვედრა, ხოლო მოსკოვის „სპარტაკმა“ ანგარიშით 3:2 დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“. გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ტაშკენტის „პახტაკორი“.

კორი“. მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა“ — 2:1. მეორე ათეულში მყოფი გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) — „ზახტიორი“ (სტალინი) — 3:1, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ვილნიუსი) — 3:0, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „ბლენკალტევი“ (ლენინგრადი) — 2:1, „კალევი“ (ტალინი) — „დაუბაჰა“ (რიგა) — 2:3, „კაირატი“ (ალმა-ატა) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 2:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „ბელარუსი“ (მინსკი) — 2:0.

წინ არიან მოსკოველი სტუდენტები

ბათუმში. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაასრულეს უახლოვდება წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა, რომელმაც ზედისე 4 გამარჯვება მოიპოვა. უკანასკნელ 2 მატჩში მოსკოველებმა დაამარცხეს ლენინგრადის „ბალტიკა“ — 3:2 და უნგრეთის პროფკავშირების ნაკრები — 8:3, თბილისის „ბურევესტნიკი“ ვითამაშა „განთიადს“ (თბილისი) და დაამარცხა იგი ანგარიშით 6:5, ხოლო მისი შეხვედრა უნგრეთის პროფკავშირების ნაკრებთან დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 5:3. ლენინგრადის „ბალტიკისა“ და „ტრუდის“ (მოსკოვის ოლქი) გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

**ფიფა-ს
ახალი პრეზიდენტი**
ლენინის ინსტიტუტის სტუდენტია
ლოპე ა. ლიპინსკი
ლოპე ა. ლიპინსკი ფიფა-ს პრეზიდენტი
მოიხილეს კონგრესი, რომლის დღის
წესრიგში იდგა ახალი პრეზიდენ-
ტის არჩევის საკითხი.
როგორც ცნობილია, ეს პოსტი
განთავისუფლდა მას შემდეგ, რაც
გარდაიცვალა ყოფილი პრეზიდენ-
ტი არტურ დრიური.
არჩევნების პირველ ტურში და-
სახელებულ იქნა სამი კანდიდა-
ტი: სტენლო როუზი (ინგლისი),
მიხეილ ანდრევიჩი (იუგოსლავია)
და ერნსტ ტომენი (შვეიცარია). ვი-
ნაიდან ვერც ერთმა კანდიდატმა
ვერ მიიღო ხმათა საჭირო ორი მე-
სამედი, დაინიშნა არჩევნების მეო-
რე ტური, სადაც საკითხს წყვეტს
ხმათა უმრავლესობა. აქ
შემეტესობამ კენჭი მისცა ს. რო-
უზს, რომელიც გახდა კიდევ პრე-
ზიდენტი.
მაგრამ ს. როუზი პრეზიდენტის
პოსტს დაიკავებს მხოლოდ 8 თვით.
1962 წლის მაისში ჩილში მოეწყო-
და ფიფა-ს მორიგი კონგრესი, სა-
დაც ხელახლა ჩატარდება არჩევნე-
ბი უფრო პრეზიდენტის ასარჩევად.


**სად არის
გაყურებელი?**
მძლეოსანთა შეჯიბრებებისადმი,
აშშ-ს ქალთა ჩემპიონატში მყოფრე-
ბლებზე მეტი მონაწილენი იყუ-
ნენ, ხოლო ბელგიის უკანასკ-
ნელ პირველობაზე ათქვიდი ბრიუ-
სელის სტადიონის „ჰეიზელის“
სალაროებში გაიყვინა მხოლოდ ერთ-
თი ბილეთი მაშინ, როცა ეს სპორ-
ტული ბაზა 70 ათას კაცს იტევს.
რა არის მყოფრებელთა ასეთი
გულცივობის მიზეზი? ინგლისური
ჟურნალი „უორლდ ატლეთიკის“
და დასავლეთგერმანული „ლეიპტი-
ატლეთიკოს“ მიმოხილველები ცდა-
ლობენ ეს მდგომარეობა ახსნან

ტელეხედევის კონკურენციით და
„ვარსკვლავების“ სიმცირით. მაგ-
რამ მიზეზი სულ სხვაა. აშშ-ს,
ინგლისის, გერ-ს, საფრანგეთის ხე-
ლისუფლებს არ ადევლებთ ახალ-
გაზრდობის ჯანმრთელობის განმტ-
კიცება. აქაური საქმოსნები გაძ-
ლიერებულ რეკლამას უყვებიენ
პროფესიულ სპორტს, რომელ-
საც დიდი მოგება მოაქვს. ეს ისე-
თი რეკლამაა, რომლის წინაშე
ფარ-ხმალს ჰყრის სამოყვარულო
სპორტის პრობანდა. მყოფრე-
ბებმა სტადიონებიდან თამაშის
კვამლით დაბურულ დარბაზებში გა-
დაინაცვლეს, სადაც უხვად იღვრება
პროფესიონალ მოყრევეთა და
კეტქმენტთა სისხლი.

დაქავებულ ბრძოლაში

ინგლისის 1960-61 წლების ჩემ-
პიონატის სტარტზე დიდ წარმატე-
ბას მიაღწია „შეფილდ უენსდეი“.
პირველსავე ტურში მან მეტად მნი-
შენლოვანი, მატჩი მოუგო (2:1)
„ვულვერჰემპტონ უონდერერსს“,
ხოლო შემდეგ სძლია „ბოლტონ
უონდერერსს“ (4:2). ფეხბურთის
მოყვარულებს კარვად ახსოვთ
სენსაციური გამარჯვებების სერია,
რომელიც შარშან მოაბოვდა „ტო-
ტენჰემ პოტსპურმა“. ჩემპიონი თა-
ვისი ჩვეულებრივი შემადგენლო-
ბით თამაშობს, მაგრამ ნაკლები
წარმატებით. პირველ დღეს ლონ-
დონელებმა დიდი გაჭირებით
მოუგეს „ბლექჰელს“ (2:1), მაგრამ
მეორე ტურში დაკარგეს ქული
„ვესტ ჰამთან“ (2:2).

ჩემპიონატის დაწყებასთან ერთად
განახლდა ნაკრების ვარჯიშიც. მისი
პირველი მეტოქე ტრადიციის თა-
ნახმად იყო ჩემპიონი. იმ ფაქტმა,
რომ მატჩი მოიგო „ტოტენჰემ
პოტსპურმა“ (3:2), რომელსაც
ნაკრებში მხოლოდ ერთი მოთამაშე
(ცენტრფორვარდი ბობ სმიტი)
ყავს, მეტად აღაშფოთა ინგლისე-
ლები. ორი პირველბარისხოვანი
ფორვარდის (გრეგისი და პიტჩინსი)
გდასვლამ იტალიაში ნაკრები უდა-
ვოდ დაასუსტა. აქამად ნაკრების
ხელმძღვანელობა ამ პოსტზე ცდის
სხვადასხვა კანდიდატებს, მაგრამ
ისინი კლასით ვაცილებით ჩამოუ-
ვარდებათ წინამორბედებს. მართა-
ლია, იტალიელებმა „პატოსანი
სიტყვა“ მისცეს ინგლისელებს,
რომ საქიროების მომენტში ორი-
ვე ფორვარდს უკანვე „ათხოვე-
ბენ“, მაგრამ მათ ნაკრების მთავარი
მწვრთნელი უოლტერ უინტერბო-
ტომი ნაკლებად ენდობა.



რედაქტორი ი. უგულავა.

**3-4
თებთებერი**

„დინამოს“ კორტაში
(ი. ბ. სტალინის სახელობის
სანაპირო)
სამართაუროსო უნებდრა
როგბურთში
ავლანეთი — საქართველო
დასაწყისი 16 საათზე.

მძლეოსნობის რესპუბლიკური ფე-
დერაციის პრეზიდიუმი და მწვრთ-
ნელთა საბჭო იუწყებიან მწვრთნე-
ლის
ნოდარ ნესტორის-ძე დევდარიანის
გარდაცვალებას და თანავარძლობას
უხსნადებენ მის ოჯახს.

**„ბურევესტნიკის“ სტადიონი
საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა**

მძლეოსნობაში

- პირველი დღის პროგრამაში: **დღიღს** — ვ ა უ ე ბ ი: სავლასიფიკაციო შეჯიბრება ბაღ-
როს ტყორცხასა და სიმაღლფეხ ბტომაში, გარბენები და მეოთხედფინალი 110 მ თარგრბენ-
ში, პირველი გარბენი 10.000 მეტრზე, წინასწარი გარბენები 400 მეტრზე, გარბენები და მეო-
თხედფინალი 100 მეტრზე; ქ ა ლ ე ბ ი: წინასწარი შეხვედრები 100 და 800 მეტრზე რბენა-
ში, საკლასიფიკაციო შეჯიბრება სიგრძეზე ბტომაში.
- საღამოს** — მონაწილეთა პარადი და ჩემპიონატის სახვითი განხმა, აგრეთვე შეჯიბრებე-
ბი ვ ა უ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს: ნახევარფინალი 110 მეტრზე თარგრბენში, უძლიერესთა გარბენი
10.000 მეტრზე, მეოთხედფინალი 400 მეტრზე რბენაში, ნახევარფინალი 100 მ რბენაში, გარ-
ბენი 800 მ, სპორტული სიარული 20 კილომეტრზე (ფინალი), ბადროს ტყორცხა (ფა-
ნალი), სიმაღლფეხ ბტომა (ფინალი); ქ ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს: ნახევარფინალი 100 მეტრზე
რბენაში და ფინალური შეჯიბრება სიგრძეზე ბტომაში.

შეჯიბრება ბტომაში